ტურიზმის განვითარების გავლენა ადგილობრივი თემის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე დედოფლისწყაროში

მერი გელაშვილი

„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ტურიზმის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად“

ბიზნესის ადმინისტრირება (ტურიზმის მენეჯმენტი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლელა ხარტიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მერი გელაშვილი, 2024.

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ტურიზმის როლი, საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის, კახეთის მუნიციპალიტეტის, კერძოდ დედოფლისწყაროს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ბიოსფერული რეზერვატი ამ ტერიტორიის ღირებულებაა, რომელიც გზას უხსნის ადგილობრივ მოსახლეობას დააბალანსონ ეკონომიკური საქმიანობები სოციალურ და გარემოსდაცვით აქტივობებთან, იცხოვრონ ბუნებასთან ჰარმონიაში. განავითარონ წარმოება და დახვეწონ მომსახურების სტანდარტები.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს, მიუხედავად მრავალფეროვანი რესურსებისა, მიგრაციის, უმუშევრობის და დაბერების პრობლემა აქვს. ადგილობრივები ვერ ამუშავებენ სახნავ-სათეს მიწებს შესაბამისი ტექნიკის ნაკლებობის გამო, არასაკმარისი ფინანსების გამო რთულია წარმოების გაზრდა და საერთაშორისო ბაზარზე პროდუქტის გატანაც. საგანმანათლებლო პროფესიული სასწავლებლების არ არსებობა კი იწვევს კვალიფიკაციური პერსონალის დეფიციტს, რასაც მივყავართ რესურსების გამოუყენებლობამდე და იმ სიკეთეების ხელიდან გაშვებამდე, რაც შესაძლებელია სწორმა მენეჯმენტმა და სივრცითმა მოწყობამ მოგვცეს.

სხვადასხვა ორგანიზაციების მხარდაჭერით, როგორებიცაა “EU/ENPART Project”, “REC Caucasus”, “GIZ/ECO.Georgia”, “ადგილობრივი განვითარების ჯგუფი“ (LAG), “დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია“, „ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია“ და სხვა, ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე დედოფლისწყაროში აქტიურად ხორციელდება პროექტები, უმჯობესდება ინფრასტრუქტურა, იზრდება სამუშაო ადგილები და დაინტერესებულ პირთა რაოდენობა, რაც საიმედო სურათს იძლევა გრძელვადიან მომავალში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დაძლევის მხრივ.

ABSTRACT

The master's thesis discusses the role of tourism in improving the socio-economic condition of one of the regions of Georgia, Kakheti Municipality, namely Dedoplistskaro. The biosphere reserve is the main asset of this area, which paves the way for the local population to develop production and improve service standards, to which non-governmental organizations and international partners contribute greatly.

Dedoplistskaro municipality, despite its diverse resources, has problems with migration, unemployment and aging. Locals cannot cultivate arable lands due to the lack of appropriate equipment, due to insufficient finances it is difficult to increase production and export products to the international market. The non-existence of educational vocational schools leads to a shortage of qualified personnel, which leads to the non-use of resources and to missing out on the good things that can be provided by proper management and spatial arrangement.

With the support of various organizations, such as “EU/ENPART Project”, “EU/REC Caucasus”, “GIZ/ECO.Georgia” and others, over the past few years, projects have been actively implemented in Dedoplistskaro, infrastructure is improved, jobs and the number of interested persons increase, which gives a reliable picture. Provides long-term future in terms of overcoming socio-economic problems.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში უამრავმა ადამიანმა გამიწია დახმარება. პირველ რიგში, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ ლელა ხარტიშვილს, მაქსიმალური ჩართულობისა და რელევანტური რჩევებისათვის.

ასევე უღრმესი მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის მიმართულებისა და ავსტრიის უნივერსიტეტის ლანდშაფტის განვითარების, რეკრეაციისა და კონსერვაციის დაგეგმვის ინსტიტუტის (BOKU) წარმომადგენლებს, ლექტორებს, რომელთაც მომცეს საშუალება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში განხორციელებული გასვლითი სასწავლო პროექტის მონაწილე ვყოფილიყავი.

გარდა ამისა, მადლობას ვუხდი კვლევაში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს.

ინდივიდუალური მადლობა „ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის“ დირექტორს, ბატონ ამირან კოდიაშვილს დაუღალავი შრომისა და ამომწურავი ინფორმაციის მოწოდებისთვის. ბოლოს კი, მადლობა კვლევაში მონაწილე ყველა რესპონდენტს.